<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის მეათე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „10^1“ პუნქტი:

„10^1) გრანტების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გრანტის მიმღები პირები ახორციელებენ წლიური საქმიანობის ანგარიშგებას“.

2. მე-9 მუხლის მეორე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „2^1“ პუნქტი:

„2^1) გრანტის მიმღები პირი ვალდებულია მისთვის ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საქმიანობის წლიური ანგარიში არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 აპრილისა, წარუდგინოს სამსახურს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სამსახურის მიერ განსაზღვრული ფორმით.“;

3. მე-9 მუხლის მესამე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „3^1“ პუნქტი:

„3^1) სამსახური ვალდებულია სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგება გამოაქვეყნოს წარდგენიდან 1 თვის ვადაში.“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**